<u>შექმნილი</u>

შენ გამოსახე ჩემი თირკმელები, დედაჩემის მუცელში გამომძერწე.

(ფსალმუნი 138: 13)

<u>მშვენიერი</u>

გაქებ, რადგან შიშით აღსავსე და მშვენიერი გამომსახე; საკვირველია შენი საქმენი და კარგად იცის ეს ჩემმა სულმა. (ფსალმუნი 138:14)

<u>ამორჩეული</u>

როგორც ამოგვირჩია მასში ქვეყნიერების შექმნამდე, რათა წმიდანი და უბიწონი ვყოფილიყავით მის წინაშე სიყვარულით. (ეფესელთა 1:4)

<u>კურთხეული</u>

ღმერთმა გვაკურთხა... ქრისტეში ყოველგვარი სულიერი კურთხევით ზეცაში.

(ეფესელთა 1:3)

<u>შეგვიყვარა</u>

ხოლო წყალობით მდიდარმა ღმერთმა, თავის დიდ სიყვარულში, რომლითაც შეგვიყვარა (ეფესელთა 2:4)

<u>მისი ქმნილებანი</u>

ვინაიდან მისი ქმნილებანი ვართ, ქრისტე იესოში შექმნილნი, კეთილი საქმეებისთვის, რომლებიც წინასწარ გაგვიმზადა ღმერთმა, რათა ამ საქმეებში ვიაროთ. (ეფესელთა 2:10)

<u>შეგვიყვარა</u>
იარეთ სიყვარულში ისევე, როგორც ქრისტემ შეგვიყვარა და თავისი თავი მისცა ჩვენთვის ღმერთს შესაწირად და მსხვერპლად, სასიამოვნო კეთილსურნელებად. (ეფესელთა 5:2)

<u>მოწოდებულნი</u>
"ნუ გეშინიათ, ვინაიდან გამოგისყიდეთ, მოგიწოდეთ თქვენი სახელით; ჩემი ხართ თქვენ. (ესაიას 43:1)

<u>დაცულნი</u>
ვერ წაგლეკავენ წყლები და მდინარეები, როდესაც მათში გაივლით, რადგან მე ვიქნები თქვენთან. ვერც ცეცხლი დაგწვავთ, როცა მასში გაივლით, ალი ვერ მოგწვდებათ. (ესაიას 43:2)

<u>ძვირფასნი</u>
რადგან ძვირფასნი ხართ ჩემს თვალში და ღირსეულნი, მე შეგიყვარეთ თქვენ! ამიტომ სხვა ადამიანებს მივცემ თქვენს სანაცვლოდ და სხვა ხალხებს - თქვენი სიცოცხლისთვის. (ესაიას 43:4)

<u>ნაპატიები</u>
ის არის შემნდობი ყველა შენი ბრალისა, მკურნალი ყველა შენი სნეულებისა. (ფსალმუნი 102:3)

<u>დახსნილნი</u>
საფლავისგან დამხსნელი შენი სიცოცხლისა, წყალობისა და სიკეთის გვირგვინის დამდგმელი; (ფსალმუნი 102:3)

<u>ძალით სავსენი</u>

დაქანცულს ძალას აძლევს და უძლურს ძლიერებას ჰმატებს. (ესაიას 40:29)
უფლის მომლოდინენი კი ძალას განიახლებენ, არწივივით გაშლიან ფრთებს, გაიქცევიან და არ დაიღლებიან, ივლიან და არ დაიქანცებიან. (ესაიას 40:31)

<u>რჩეულნი</u>

თქვენ კი რჩეული მოდგმა ხართ, სამეფო სამღვდელოება, წმიდა ერი, წილხვედრი ხალხი, რათა გამოაცხადოთ მისი სათნოება, ვინც სიბნელიდან თავისი საკვირველი სინათლისკენ გამოგიხმოთ. (1პეტრეს 2:9)

<u>მისაბაძი</u>

თქვენ ხართ მარილი მიწისა. თუ მარილი გაუგემურდა, რითღა დამარილდეს? ის უკვე აღარაფრად გამოდგება, მხოლოდ გარეთ უნდა გადაყარო კაცთა მიერ გასათელად. თქვენ ხართ ქვეყნიერების სინათლე. მთის წვერზე მდებარე ქალაქი ვერ დაიმალება. (მათეს 5:13,14)

<u>წმიდა</u>

ახლა კი შეგირიგათ თავის ხორციელ სხეულში მისი სიკვდილის მეშვეობით, რათა წარგადგინოთ თქვენ წმიდები, უბიწონი და უბრალონი თავის წინაშე. (კოლასელთა 1:22)

<u>გამარჯვებულნი</u>

მაზე რაღა ვთქვათ? თუ ღმერთი ჩვენკენ არის, ვინ გამოვა ჩვენს წინააღმდეგ? (რომაელთა 8:31)

<u>ძვირფასნი</u>

ვერც სიმაღლე და ვერც სიღრმე, ვერც ვერავითარი სხვა ქმნილება ვერ შეძლებს ჩვენს ჩამოშორებას ღვთის სიყვარულისაგან ჩვენს უფალ ქრისტე იესოში. (რომალეთა 8:39)

<u>გამორჩეულნი</u>

მაგრამ, ვინც მიიღო და ირწმუნა მისი სახელი, მათ მისცა ხელმწიფება ღვთის შვილებად გახდომისა. ისინი იშვნენ არა სისხლისგან, არა ხორცის ნდომისგან, არა მამაკაცის ნდომისგან, არამედ ღვთისგან. (იოანეს 1:12,13)

<u>ღირებულნი</u>

თქვენს თავზე კი ყოველი თმაც დათვლილია. ნუ გეშინიათ, ბევრ ბეღურაზე უკეთესნი ხართ. (ლუკას 12:7)

<u>დაცულნი</u>

უფალი ღმერთი შუქია ჩემი და გადარჩენა - ვის შევუშინდე? ჩემი სიცოცხლის ბურჯია უფალი - ვინ შემაძრწუნებს? (ფსალმუნი 26:1)